

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და  
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

18. 09. 2017 წელი

118/2-02

----- ქ. თბილისი № -----

ჯგუფის ხელმძღვანელის პასუხისმგებელ პირად  
განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სასწავლო წლის დაწყებიდან (2017 წლის 18 სექტემბრიდან) მის დასრულებამდე საღამოს 19:00 საათის შემდეგ მიმდინარე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ჯგუფის უშუალო ხელმძღვანელი და ასევე იმ დროისათვის სალექციო კურსის წამყვანი.
2. 19:00 საათის შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესი დაექვემდებაროს გონივრულ დროს (საათებს).
3. ბრძანების შესრულება დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ № 6.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

რუსუდან თევზაძე